

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს “მარჯანი-5“-ს

ფინანსური ანგარიშგება

და

აუდიტის დასკვნა

31 დეკემბერი 2023 წელი

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი
2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა
- 2.4. კომპანიის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა
- 2.5. გადასახადები
- 2.6. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე
- 2.7. გაცვლითი სავალუტო კურსები
3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები
- 3.1. ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები:
- 3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:
- 3.3. ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:
- 3.4. მარაგები:
- 3.5. სხვა მოკლევადიანი აქტივები:
- 3.6. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:
- 3.7. სავაჭრო ვალდებულებები:
- 3.8. ნასესხი სახსრები:
- 3.10. ამონაგები:
- 3.11. სხვა საოპერაციო შემოსავალი:
- 3.12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:
- 3.13. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება
- 3.14. რისკების მართვა
- 3.14. გაუთვალისწინებელი გარემოებები
- 3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები
- 3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2024 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი



იოსებ სამადაშვილი

„მარჯანი-5“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მარჯანი-5“-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად;

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის

მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-

ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე

ვანო ხვთისიაშვილი

სერთიფიცირებული აუდიტორი

აუდიტორული ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-310711

შ.პ.ს „აუდიტ სტანდარტი“ (ს/ნ 206190469)

საქართველო, თბილისი

30 სექტემბერი 2024 წ.

შპს „აუდიტ-სტანდარტი“-ს

დირექტორი და აუდიტორი:



/ვ. ხვთისიაშვილი/

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32650	1397	1139679	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	56194	512378	182786	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2082288	821044		3.3
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	997062	1236747	2227281	3.4
მ.შ. - მზა პროდუქცია	144911	179776		
- სხვა	852151	1056971	2227281	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები		219895		3.5
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
ძირითადი საშუალებები	853673	9102513	7438156	
მიწა	144164	144164	144164	
შენობა-ნაგებობები	1231795	1261019	786987	3.6
სხვა ძირითადი საშუალებები	7160777	7697330	6507005	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	6204139	6204139	6204139	
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	17909069	18098113	17192041	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	6530431	3861638		3.7
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	12775	25583		
საგადასახადო ვალდებულებები	42300			
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		1870883	15544047	3.8
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	15124635	15089095	2570624	
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	21710141	20847199	18114671	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-3801072	-2749086	-922630	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	-3801072	-2749086	-922630	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	17909069	18098113	17192041	
სულ მოკლევადიანი აქტივები	3168194	2791461	3549746	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	6585506	5758104	15544047	

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი: იოსებ სამადაშვილი


თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (1 ლარი)

	2023	2022	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	12025627	10711105	
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	12025627	10711105	3.10
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-12818461	-11996826	
საერთო მოგება	-792834	-1285721	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-990142		
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-537539	-231234	
საპროცენტო შემოსავალი	217511		3.11
საპროცენტო ხარჯი	-533922	-309501	
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-35830		3.12
სულ საოპერაციო ხარჯები	-1879922	-540735	
საოპერაციო მოგება	-2672756	-1826456	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.			
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი			
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-2672756	-1826456	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-2672756	-1826456	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-2672756	-1826456	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-3595386	-922630	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-6268142	-2749086	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024წ.

დირექტორი:



ოსებ სამადაშვილი



თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ნაშთი 31.12.2021-თვის	(922 630)	-	(922 630)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	-1826456	(1 826 456)
სხვა სრული შემოსავალი			-
განაწილებული დივიდენდები	-		-
ცვლილება საწესდებო კაპიტალში			
ნაშთი 31.12.2021-თვის	(922 630)	(1 826 456)	(2 749 086)

ნაშთი 01.01.2022-თვის	-		(2 749 086)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	(1 051 986)	(1 051 986)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
განაწილებული დივიდენდები	-		-
ნაშთი 31.12.2022-თვის	-		(3 801 072)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-		-
სხვა სრული შემოსავალი			-
განაწილებული დივიდენდები	-		
ცვლილება საწესდებო კაპიტალში			
ნაშთი 31.12.2023-თვის	-	-	(3 801 072)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024 წ.

დირექტორი:



იოსებ სამადაშვილი



თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის ჩარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

	2022	2022
საოპერაციო საქმიანობა:		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	15353304	13446201
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-12722149	-9890034
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-828664	-513688
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	1802491	3042479
გადახდილი მოგების გადასახადი		
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1802491	3042479
საინვესტიციო საქმიანობა:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	-904011	-1542480
ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის		
სესხის გაცემა და შემდგომი დაბრუნება		64569
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან	105504	
მიღებული პროცენტები		
მიღებული დივიდენდები		
სხვა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		159972
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-798507	-1317939
საფინანსო საქმიანობა:		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებაიდან		-434000
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	3488177	3877680
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარაიდან წარმ. ვალდებულებების გადახდა	-82129	-201294
სესხის ძირის გადახდა	-3946415	-3738304
სესხის პროცენტის გადახდა	-593063	-527936
დივიდენდების გადახდა	-43694	-340000
სხვა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	428677	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-748447	-1363854
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	255537	360686
სავალუტო კურსის ეფექტი	-49231	-70508
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	742310	452132
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	948616	742310

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (1 ლარი)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2024წ.

დირექტორი:  იოსებ სამადაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შპს “მარჯანი-5” (შემდგომში – კომპანია) მიერ. შპს “მარჯანი-5” წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2005 წლის 12 ოქტომბერს საგადასახადო ინსპექციის მიერ. მისი საიდენტიფიკაციო კოდია 200158051, იურიდიული მისამართი – საქართველო, ქ. ზესტაფონი ქ. N34. დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელი იყო შპს „მს“, ს/კ 201327287; კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელი იყო ომარ სამადაშვილი, პ/ნ 01020002660

1.3. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორის მიერ. კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არის - იოსებ სამადაშვილი.

1.4. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფეროსილიკომპანუმის წარმოება და რეალიზაცია ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. კომპანიის ოფისი მდებარეობს საქართველო, ქ. ზესტაფონი რაიონი სოფ. კვალითი.

1.6. ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, რაც იწვევს ხშირ საკანონმდებლო ცვლილებებს.

1.7. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით, საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების „მსს ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.2. გათვალისწინებულია „მსს ფასს“-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.3. გათვალისწინებულია „მსს ფასს“-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება - პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს-ის მე-11 განყოფილება - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

თავდაპირველი აღიარება

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება).

შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორიცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღ-ის, ექსპორტის საბაჟო გადასახადის, ზოგიერთი აქციის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც და იანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის

მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკუროს სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ ჯგუფს აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საექვო მოთხოვნების აღიარება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, 3 თვემდე ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურების ზარალი აღიარდება - 2%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე - 10%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ბიოლოგიური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

დ) ძირითადი საშუალებების, თვითღირებულებით აღრიცხული ბიოლოგიური აქტივებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როცა დაიწყო მათი გამოყენება.

ე) ძირითადი საშუალებების, თვითღირებულებით აღრიცხული ბიოლოგიური აქტივებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული მათგანისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო

თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 2%;
მსუბუქი ავტომობილები	- 10%;
ავტოსატრანსპორტო ტექნიკა	- 10%;
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	- 20%;
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 10%;
მანქანა- დანადგარები	- 10%;
საოფისე აღჭურვილობა	- 20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 3.33%-50%.

ვ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითიკორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.5. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება მსს ფასს-ის მიხედვით გამოთვლილ საგადასახადო აქტივსა (ვალდებულებებსა) და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

2017 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის რეფორმა (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებთ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15%.

2.6. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.7. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9758ლარი;

100 RUB = 2,9916 ლარი; 1 GBP = 3.4228 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი;

100 RUB = 3.6770 ლარი; 1 GBP = 3.2581 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	32 317	1 297	43392
ლარი საბანკო ანგარიშებზე	330.36	100	6397
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	2		1089890
სულ:	32 650	1 397	1 139 679

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები	56 194	508 252	20286
სხვა მოთხოვნები		4 126	162500
სულ:	56 194	512 378	182786

3.3. ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
გაცემული გრძელვადიანი სესხები	2 044 824	626 999	
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	37 464	194 045	
სულ:	2 082 288	821 044	-

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
საქონელი	11 831	11 322	12297
ნედლეული და მასალები	836 815	1 026 651	2206853
მზა პროდუქცია	144910.85	179776	
სხვა	3 505	18 998	8131
სულ:	997 062	1 236 747	2227281

3.5. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სხვა მოკლევადიანი აქტივები		219 895	
სულ:	-	219 895	0

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სავაჭრო ვალდებულებები	6 530 431	3 861 638	
სულ:	6 530 431	3 861 638	-

3.8. ნასესხები სახსრები

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები კომერციული ბანკებისგან (ძირი)	15 124 635	15 089 095	2570624
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები ფიზიკური პირისგან (ძირი)	-	1 870 883	15544047
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები ფიზიკური პირისგან (პროცენტი)			
სულ:	15 124 635	16 959 978	18114671

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობი თ	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობი თ	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობი თ
სავაჭრო ვალდებულებები	1912806.00	1 178 673	1 106 099
საპენსიო ფონდის ვალდებულება	151636.42		12 878
სხვა ვალდებულებები	223369	9 420	8 920
სულ:	2 287 811	1 188 093	1 127 897

	3	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	დაუმონტაჟ ებული მოწყობილო ობები	შენობები ნაგებობები	თანადა დანადგარები და ტურბინული მოწყობილობები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება 2022 წლის 1 იანვარი		144 164	786 987	6 507 005	-	-	-	7 438 156
შემოსვლა			488 644	1 299 175	1 275 631	7 806 180	88 535	10 958 165
გასვლა			(1 275 631)	(7 806 180)				(9 081 811)
2022 წლის 31 დეკემბერი		144 164	-	-	1 275 631	7 806 180	88 535	9 314 510
დაგროვილი ცვეთა								
2022 წლის 1 იანვარი		-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი		-	-	-	14 612	213 980	2 642	231 234
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა		-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი		-	-	-	14 612	213 980	2 642	231 234
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2022 წლის 1 იანვარი		144 164	786 987	6 507 005	-	-	-	7 438 156
2022 წლის 31 დეკემბერი		144 164	-	-	1 261 019	7 592 200	85 893	9 083 276
		მიწის ნაკვეთები	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	დაუმონტაჟ ებული მოწყობილო ობები	შენობები ნაგებობები	თანადა დანადგარები და ტურბინული მოწყობილობები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება 2023 წლის 1 იანვარი		144 164	-	-	1 275 631	7 806 180	88 535	9 314 510
შემოსვლა			-	-	-	-	19 261	19 261
გასვლა			-	-	-	-	(28 262)	(28 262)
2023 წლის 31 დეკემბერი		144 164	-	-	1 275 631	7 806 180	79 534	9 305 509
დაგროვილი ცვეთა								
2023 წლის 1 იანვარი		-	-	-	14 612	213 980	2 642	231 234
ცვეთის ხარჯი		-	-	-	29 224	505 673	2 642	537 539
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა		-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი		-	-	-	43 836	719 653	5 284	768 773
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 1 იანვარი		144 164	-	-	1 261 019	7 592 200	85 893	9 083 276
2023 წლის 31 დეკემბერი		144 164	-	-	1 231 795	7 086 527	74 250	8 536 736

3.10. ამონაგები

	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები ექსპორტიდან	10858881	9569229
ამონაგები ადგილობრივი რეალიზაციიდან	1166746	1141876
სულ:	12025627	10711105

3.11. სხვა საოპერაციო შემოსავალი:

	2023 წელი	2022 წელი
საპროცენტო შემოსავალი	217510	0
სხვა შემოსავალი		0
სულ:	217510	0

3.12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
ქიმიური ანალიზი	2165	0
ბანკის საკომისიო	12785	0
ჯარიმა უხარისხო საქონლსი მიწოდებისთვის	14055	0
აზომვითი ნახაზები	300	0
საკანცელარიო საქონელი	495	0
ომარი ჩიბურდანიძე	197	0
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	157	0
სახიფათო ნაღწენების გატანა	46	0
ელექტრო სერთიფიკაციის მომზადება	1450	0
შპს ნასეტო გრუპ	450	0
გაფქვევის პროექტის მომზადება	2500	0
უბედური შემთხვევის დაზღვევა	1230	0
სულ:	35830	0

3.13. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების

მოძრაობასთან:

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლასიფიკაციით ან გადაკისრებ	დადებული საკურო	ვალდებულების აღება	ვალდებულების აღება რეკლასიფიკაციით ან	უარყოფითი საკუროს სხვაობა	ვალდებულება 31.12.2023-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	6 072 001	3 941 468	151 860			3 286 633		5 265 306
სასესხო ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ	748 812	-					92 569	643 475
სალიზინგო ვალდებულება	246 515	381 820				-		161 012
სულ:	7 067 328	4 323 288	151 860	-	-	3 286 633	92 569	6 069 793

3.14. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი, აქტივების ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების გზით. შეფასების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.15. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეეკმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს და აშშ დოლარისა მიმართ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და

მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

3.16. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო გახდა მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის სიმცირე ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მართალია, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დავები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას საერთო დავები არ ჰქონია.

3.17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2023 წლის 30 სექტემბრამდე, არ მომხდარა რაიმე სხვა სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 30 მაისს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შ.პ.ს“მარჯანი-5“

მმართველობის ანგარიშგება - ბიზნესის მიმოხილვა 2023

1. კომპანიის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა

წინამდებარე 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შპს “მარჯანი-5“ (შემდგომში – კომპანია) მიერ. შპს “მარჯანი-5“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2005 წლის 12 ოქტომბერს საგადასახადო ინსპექციის მიერ. მისი საიდენტიფიკაციო კოდია 200158051, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ.ზესაბაზო ქ. N34. დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელი იყო

შპს „მს“, ს/კ 201327287; კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელი იყო

ომარ სამადაშვილი, პ/ნ 01020002660

2023წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 68 ადამიანი (2022: 47ადამიანი).

2023 წელს კომპანია გეგმავს ინვესტირებას ფეროსილიკომანგაუმის წარმოებაში.

2. კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევითი და საცდელი სამუშაოები

2022 წელს კომპანიას კვლევითი და საცდელი სამუშაოები არ ჩატარებია

3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების და მათი მართვის მექანიზმის მიმოხილვა

.კომპანიის პოლიტიკაა ითანამშრომლოს მხოლოდ გადახდისუნარიან კლიენტებთან. საგადახდო პირობები მერყეობს 30 დღიდან 90 დღემდე. საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება ხანდაზმულობის რეგულარული ანალიზით, გარდა ამისა კომპანია იყენებს საკრედიტო ლიმიტებს კლიენტების ჭრილში.

კომპანიის აქვს ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად არსებობს სავალუტო რისკები. კომპანიის ძირითადი სავალუტო ტრანზაქციები დაკავშირებული საექსპორტო გაყიდვებთან, სადაც ძირითადი ვალუტაა აშშ დოლარი და ევრო. კომპანიის უმეტესი ტრანზაქცია ეუცხოურ ვალუტაში ხორციელდება.

კომპანია ლიკვიდობის მართვის ფრთხილი პოლიტიკა აქვს, ცდილობს რა იქონიოს საკმარისი ნაღდი ფული და ლიკვიდური აქტივები, რათა უზრუნველყოს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვა. კომპანიის მიზანია გაყიდვების მოცულობის ზრდა და მიღებული ნაღდი ფულით ვალდებულებების შემცირება. ამის გარდა კომპანიისთვის საკრედიტო საშუალებები ხელმისაწვდომია. ასევე მენეჯმენტი დარწმუნებულია რომ კომპანიის დამფუძნებლების მხრიდან არის მზაობა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს კომპანია საკმარისი რესურსით, რათა მოხერხდეს ვალდებულებების გასტუმრება.

აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არა ფინანსური მაჩვენებლები

სამუშაო გარემო :

კომპანიამ განსაზღვრა, უზრუნველყო და ინარჩუნებს სამუშაო გარემოს, რომელიც აუცილებელია პროცესების მიმდინარეობისა და მომსახურების შესაბამისობისათვის დადგენილ მოთხოვნებთან. სამუშაო გარემოში იგულისხმება ადამიანური და ფიზიკური ფაქტორების კომბინაცია, როგორიცაა: ა) სოციალური (არა-დისკრიმინაციული, მშვიდი, არა-კონფრონტაციული); ბ) ფსიქოლოგიური (სტრესული სიტუაციის შემცირება, გადაღლის პრევენცია, ემოციური დაცვა); გ) ფიზიკური (ტემპერატურა, გათბობა, ტენიანობა, განათება, ჰაერცვლა, ჰიგიენა, ხმაური);

შრომის დაცვა/ტექნიკური უსაფრთხოება:

კომპანიაში შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნები შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

კომპანიის მიზანია უზრუნველყოს კომპანიაში შრომის დაცვის თვალსაზრისით პერსონალისათვის საფრთხის შემცველი ადგილების გამოვლენა, განახორციელოს საფრთხის ანალიზი, შეაფასოს ამ საფრთხის მოხდენის რისკი და საკონტროლო ზომები გაატაროს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად.

შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერის მიერ შეფასებული და მაქსიმალურად კონტროლირებულია პერსონალის შრომითი გარემოს მიმართ არსებული სპეციფიკური რისკები. არსებობს პოტენციური საფრთხეების მონაცემთა ბაზა, სადაც განხილულია ყველა შესაძლო საფრთხე პერსონალის ჯანმრთელობის მიმართ.

ნარჩენების განთავსება და გარემოს დაცვა:

კომპანია ზრუნავს ნარჩენების რაოდენობის შემცირებაზე, იცავს და ემორჩილება ყველა ადგილობრივ კანონს და ნორმატიულ აქტს ნარჩენების შეგროვების, შენახვის, გადამუშავების და გატანის შესახებ და შესაბამისობაშია გარემოს დაცვის მოთხოვნებთან.

ხარისხის პოლიტიკის შედგენა

ჩვენი კომპანიის ხელმძღვანელობამ:

- შეიმუშავა, დანერგა და ინარჩუნებს ხარისხის პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება კომპანიის მიზნებს, არსს და ხელს უწყობს მის სტრატეგიულ მიმართულებებს;
- შეიცავს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების პასუხისმგებლობას.

კომპანიის ფუნქციები, პასუხისმგებლობები და ავტორიზაცია

ჩვენი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი და დამტკიცებულია პასუხისმგებლობები და უფლებები საჭირო პოზიციებისათვის და გაცნობილია შესაბამისი პერსონალის მიერ.

განსაზღვრულია პასუხისმგებლობები და უფლებები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს:

- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შესაბამისობა;
- პროცესების მიერ წინანსწარ დადგენილი შედეგების მიღება;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შესრულებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობების რეპორტირება განსაკუთრებით ზედა მენეჯმენტისთვის;
- კომპანიის კლიენტზე ორიენტირებულობის ხელშეწყობა;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ცვლილებების დაგეგმვის და დანერგვის შემთხვევაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შენარჩუნება.

კომპანიის დამფუძნებლებს აქვთ საშუალება შეაფასონ საკუთარი მენეჯმენტის ეფექტურობა, შეაფასონ არსებული ფინანსური მაჩვენებლები და განსაზღვრონ როგორ გაიუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობა ,როგორც შემოსავლების ზრდის ასევე მარჯის ზრდის და ხარჯების ოპტიმიზირების მიმართულებით.

შპს “მარჯანი-5“-ს

გენერალური დირექტორი:



/ ი. სამადაშვილი/

30.09.2024 წ.